

საბავშვო ბიბლია წარმოგიდგენთ



ნოე და დიდი წყალდიდობა



ავტორი: Edward Hughes
ილუსტრატორი: Byron Unger; Lazarus

მთარგმნელი: Christian Lingua
ადაპტირება: M. Maillot; Tammy S.

ამბავი 3 60-დან

www.M1914.org


Bible for Children, PO Box 3, Winnipeg, MB R3C 2G1 Canada

ლიცენზია: თქვენ გაქვთ უფლება, დაბეჭდოთ ეს ტექსტი ან გადაიღოთ მისი ასლი იმ შემთხვევაში, თუ მას არ გაყიდით.

ქართული


Georgian

ნოე იყო კაცი,
რომელიც ღმერთს
თაყვანს სცემდა.
ყველა დანარჩენს
სძულდა ღმერთი და არ
ემორჩილებოდნენ მას.



1

ერთ დღესაც, თქვა ღმერთმა
რაღაც თავზარდამცემი. „მე
გავანადგურებ ამ უკეთურ
ქვეყანას“, უთხრა ღმერთმა
ნოეს. „მხოლოდ შენი ოჯახი
გადარჩება“.



2

ღმერთმა გააფრთხილა ნოე, რომ მოვიდოდა დიდი წყალდიდობა და დაფარავდა მთელ ქვეყანას.




3

„ააშენე ხის კილობანი, იმდენად დიდი ნავი, რომ დაიტოს შენი ოჯახი და მრავალი ცხოველი“, მიეცა ბრძანება ნოეს. ღმერთმა ზუსტი მითითებები მისცა ნოეს. ნოე საქმეს შეუდგა!



4

ადამიანები ალბათ დასცინოდნენ ნოეს, როდესაც ის უხსნიდა მათ, თუ რატომ აკეთებდა კილობანს.



5

ნოე შენებას აგრძელებდა. ის ასევე უყვებოდა ხალხს ღმერთის შესახებ. არავინ ისმენდა.

ნოეს დიდი რწმენა ჰქონდა. მას სწამდა ღმერთის მიუხედავად იმისა, რომ იქამდე წვიმის წვეთიც კი არ ჩამოვარდნილიყო.



6

მალე კილობანი მზად იყო, მარაგით სავსე.




7

ახლა მოვიდნენ ცხოველები. ღმერთმა მოიყვანა შვიდი ცხოველი ზოგიერთი სახეობიდან, სხვებიდან კი ორი.



8

კიდობანში შევიდა დიდი და პატარა ჩიტები,
დაბალი და მაღალი ცხოველები.



9

ალბათ ხალხი
შეურაცხყოფელ სიტყვებს
ემახდა ნოეს, როდესაც მას
ცხოველები შეჰყავდა.



10

მათ არ შეუწყვიტავთ
ცოდვების ქმნა ღმერთის
წინაშე. მათ არ უთხოვიათ
კიდობანში შესვლა.




11

საბოლოოდ,
ყველა ცხოველი
და ჩიტი გემზე
იყო. „შემოდი
კიდობანში“,
მოიწვია ღმერთმა
ნოე. „შენ და შენი
ოჯახი“. ნოე, თავისი ცოლი,
სამი ვაჟი და მათი სამი ცოლი
შევიდნენ კიდობანში. მაშინ
ღმერთმა დახურა კარები!


12

შემდეგ მოვიდა წვიმა.
დიდი კოკისპირული
წვიმა ავსებდა ქვეყანას
ორმოცი დღე და
ორმოცი ღამე.




13

წყალდიდობის
წყლები ეშვებოდა
ქალაქებსა და სოფლებზე. როდესაც
წვიმა შეწყდა, მთებიც კი წყლის ქვეშ
იყო. ყველაფერი, რაც ჰაერს
სუნთქავდა, მოკვდა.




14




როგორც კი წყალი
ადიდა, კიდობანი ზედ
ტივტივებდა. შეიძლება
შიგნით სიბნელე
ყოფილიყო, ხშირი ბიძგები
და შეიძლება საშიშიც.
მაგრამ კიდობანი იცავდა
ნოეს წარღვნისგან.

15



წარღვნიდან ხუთი თვის შემდეგ,
ღმერთმა გამოგზავნა გამაშრობელი
ქარი. ნელ-ნელა, კიდობანი მალა
არარატის მთებს მიადგა. ნოე შიგნით
რჩებოდა კიდევ ორმოცი დღე,
როცა წყალი
იკლებდა.

16



ნოემ გამოუშვა ყორანი და მტრედი კიდობნის
ღია ფანჯრიდან. როცა ვერ იპოვა მშრალი სუფთა
ადგილი მოსასვენებლად, მტრედი დაუბრუნდა ნოეს.

17




ერთი კვირის
შემდეგ ისევ სცადა
ნოემ. მტრედი უკან
დაბრუნდა, ნისკარტით
კი ზეთისხილის რტო ეჭირა.
მომდევნო კვირას ნოემ იცოდა,
რომ მიწა მშრალი იყო,
რადგან მტრედი არ
დაბრუნებულა.

18



ღმერთმა უთხრა ნოეს, რომ დრო
იყო, დაეტოვებინა კიდობანი. ნოემ
და მისმა ოჯახმა ერთად გამოიყვანეს
ცხოველები.

19



რა მადლიერების გრძნობით
სავსე უნდა ყოფილიყო
მაშინ ნოე! მან ააშენა
სამსხვერპლო და თაყვანს
სცემდა ღმერთს,

რომელმაც იხსნა
იგი და მისი
ოჯახი საშინელი
წარღვნისგან.

20

ღმერთმა
ნოეს
საოცარი
პირობა
დაუდო.

ამიერიდან
არასოდეს
მოავლენდა
ის წარღვნას
ადამიანთა
ცოდვის
განსასჯელად.

21

თავისი
შეპირების
ნიშნად ღმერთმა
ადამიანებს მისცა
ის, რაც მათ ამ
პირობას გაახსენებდა.

ცისარტყელა
იყო ღმერთის
პირობის ნიშანი.

22

ნოემ და მისმა
ოჯახმა ახალ
შთამომავლობას დაუდეს
საფუძველი წარღვნის შემდეგ.
მალევე, მისმა შთამომავლებმა
ხელახლა აავსეს მთელი
ქვეყანა ადამიანებით.

23

მსოფლიოს
ყველა ერი ნოესა
და მისი შვილებისგან მოდის.

24

ნოე და დიდი წყალდიდობა

ამბავი ღმერთის სიტყვებიდან, ბიბლიიდან,

გადმოცემულია

დაბადება 6-10

„შენი სიტყვების კარიბჭე შობს ნათელს.“
ფსალმუნები 119:130

ღმერთმა იცის, რომ ჩვენ გაგვიკეთებია
ცუდი რამეები, რომლებსაც ის ცოდვას უწოდებს.
ცოდვისთვის სასჯელი სიკვდილია.

ღმერთს იმდენად ვუყვარვართ, რომ მან ჯვარცმისა და ჩვენი
სასჯელის გამოსასყიდად გამოგზავნა თავისი ერთადერთი
ძე, იესო. იესო აღდგა და დაბრუნდა სასუფეველში! ახლა
ღმერთს შეუძლია მოგვიტევოს ჩვენი ცოდვები.

თუ გინდა, ზურგი აქციო შენს ცოდვებს,
უთხარი ეს ღმერთს: უფალო ღმერთო, მწამს, რომ
იესო მოკვდა ჩემთვის და ახლა ისევ ცოცხლობს. გთხოვ,
შემოდი ჩემს ცხოვრებაში და მომიტევე ჩემი ცოდვები,
რათა ახალი ცხოვრების დაწყება შევძლო, შემდეგ კი
მუდამ შენთან ვიყო. შემეჩიე, რათა ვიცხოვრო შენთვის,
როგორც შენმა შვილმა. ამინ. იოანე 3:16

იკითხე ბიბლია და ესაუბრე ღმერთს ყოველდღე!